ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N 10

ქ. თბილისი 18 იანვარი 2016 წელი

ერთის მხრივ, **შპს "საქართველოს ლატარიის კომპანია"**, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ლევან ჩიკვაიძის სახით, შემდგომში "შემსყიდველი'' და მეორეს მხრივ, **შპს "დიკე ინტერნეშნელი"** წარმოდგენილი მისი დირექტორის ვანდა დოლიშვილის სახით, შემდგომში "მიმწოდებელი'' გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მთარგმნელობითი მომსახურებება, კერძოდ იურიდიული დოკუმენტის „ხელშეკრულების" (დოკუმენტი 22,5 გვერდად) ოფიციალური თარგმნა ინგლისური ენიდან - ქართულ ენაზე (CPV კოდი: 79530000) შემდგომში – მომსახურება.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს **371,70** ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების, მათ შორის დღგ-ს ჩათვლით.
2.2. ერთეულის ღირებულებაა **16.52** ლარი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების, მათ შორის დღგ-ს ჩათვლით.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მხარეთა შორის ანგარიშსწორება მოხდება ლარში, უნაღდო ანგარიშსწორების გზით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ „მიმწოდებლის" საბანკო რეკვიზიტებზე.
3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა და მიმწოდებლის მეერ წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე, მისი წარმოდგენიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შპს ,,საქართველოს ლატარიის კომპანიის" თანამშრომელი - სოფიო დუღაშვილი.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. თბილისი.
5.2. მომსახურების გაწევა ხორციელდება 2016 წლის 20 იანვრამდე.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
6.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
6.3. მიმწოდებელი პასუხისმგებელია თარგმანის სისწორესა და სიზუსტეზე;
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს მომსახურება იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.
6.5. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებათა კეთილსინდისიერი და ჯეროვანი შესრულება;
6.6. თითოეული მხარე პასუხს აგებს მეორე მხარისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანისათვის, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. დაუძლეველი ძალა

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის

არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. სხვა პირობები

9.1. ყველა იმ საკითხის რეგულირების მიზნით, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები სარგებლობენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
9.3. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 31 იანვრამდე.
9.4. წინამდებარე ხელშერკულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა „მიმწოდებელს“, ხოლო მეორე ეგზემპლარი „შემსყიდველს“

11. მხარეთა რეკვიზიტები:

“შემსყიდველი“
შპს ,,საქართველოს ლატარიის კომპანია“
მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №34
ს/კ 204568208
ბანკი: სს “ლიბერთი ბანკი“
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა GE28LB0113121375356003

გენერალური დირექტორი
ლევან ჩიკვაიძე

“მიმწოდებელი“
შპს “დიკე ინტერნეშნელი“
მის: ქ. თბილისი, ლერმონტოვის ქ.№16
ს/კ 203843653
ბანკი: სს „ბანკი ქართუ“
ბანკის კოდი: CRTUGE22
ა/ა GE83CR0030000034313608

დირექტორი
ვანდა დოლიშვილი